საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-411

ქ. თბილისი

03/06/2022

შპს „ბეიექსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმო) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს ,,ჯეო ტექნიქსზე“ გადაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილისა და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და სსიპ- გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის პირველი ივნისის N 21/2158 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „შპს „ბეიექსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმო) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 4 მაისის N2-598 ბრძანებით „შპს „ბეიექსის“-თვის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმო) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს ,,ჯეო ტექნიქსს“.

2. შპს ,,ჯეო ტექნიქსმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 4 მაისის №2-598 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა.

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ბეიექსს“ და შპს ,,ჯეო ტექნიქსს“.

5. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ბეიქსისა“ და შპს „ჯეოტექნიქსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი